ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 25.

ქუთაისი

25.05.2015 წ.

ერთის მხრივ „შემსრულებლად" წოდებული – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შ.პ.ს. „მიკრობიოლოგი" რეგისტრირებული 07/07/2005წ. საიდენტიფიკაციო კოდი 212847277, მისამართი ქ.ქუთაისი განჯის ქ.№15, რომელსაც ამ ხელშეკრულებაში წარმოადგენს დირექტორი ქეთევან ებანოიძე

მეორეს მხრივ „დამკვეთად" წოდებული [illegible]

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის მიწოდებული სახმელი წყლის ნიმუშების ლაბორატორიული ტესტირება.

1.2.ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურების საერთო ღირებულება ექვსასი 325 (სამასოცდაოთხი) ლარი. კოდი 71900000

2.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

2.1.„ხელშეკრულება" – საქართველოს კანონის საფუძველზე დამკვეთ ორგანიზაციასა და შემსრულებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

2.2.„შემსრულებელი" – ორგანიზაცია, ფიზიკური ან იურიდიული პირი რომელიც ახორციელებს დამკვეთის მიერ დაკისრებული ვალდებულების შესრულებას.

2.3.„დამკვეთი" – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც შემსრულებელს ავალებს განახორციელოს მისთვის საჭირო სამუშაოს შესრულება.

2.4.„სახელშეკრულებო ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაუხადოს დამკვეთმა შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული შესრულებისათვის.

2.5.„დღე" „კვირა" „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

3.მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

3.1.შემსრულებელი ვალდებულია მიაწოდოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მითითებული მომსახურება, ნიმუშების ჩაბარებიდან არაუგვიანეს 7 **დღისა,** დამკვეთი იტოვებს უფლებას ვადის დარღვევით შესრულებული სამუშაო არ მიიღოს ან მოსთხოვოს შემსრულებელს ვადის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

3.2.დამკვეთი ვალდებულია აანაზღაუროს მიწოდებული მომსახურების ღირებულება შემსრულებლის მიერ შესაბამისი ნიმუშის გამოკვლევის ოქმისა და სასაქონლო ზედნადების მიღების შემდეგ არა უგვიანეს ერთი დღისა.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი:

4.1.მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება ნიმუშის გამოკვლევის ოქმისა და სასაქონლო ზედნადების გაფორმებისა და დამკვეთის უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის ჩაბარების შემდეგ.

5.გარანტია და ხარისხი:

5.1.შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული მომსახურება არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება არსებულ საერთაშორისო სტანდარტებსა და დამკვეთის მოთხოვნებს.
5.2. ლაბორატორიული კვლევის ჩატარების შემდეგ 10 დღის განმავლობაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დამკვეთი იტოვებს უფლებას მოსთხოვოს შემსრულებელს მიყენებული ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურება.

6. ანგარიშსწორება:

6.1.ანგარიშსწორება განხორციელდება შემსრულებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე თანხის გადარიცხვით ან ნაღდი ანგარიშსწორებით, შესაბამისი ნიმუშის გამოკვლევის ოქმის, სასაქონლო ზედნადების გაფორმებისა და დამკვეთის უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის ჩაბარების შემდეგ.

7.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა:

7.1.ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
7.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.3.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.ფორს-მაჟორი

8.1.ფორს-მაჟორული მდგომარეობის (კერძოდ ხანძრის, წყალდიდობის, მიწისძვრის, ეპიდემიის, საომარი მოქმედების, ბლოკადის, ასევე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ მიღებული რაიმე ხელისშემშლელი აქტებისა და ზომების) დადგომის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მხარეთა ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის დამთავრების მომენტამდე.
8.2.ფორს-მაჟორული მდგომარეობის დასამტკიცებლად აუცილებელია ცნობები, რომლებიც გაცემული იქნება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ.

9.სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1.წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი სადავო საკითხების მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გადაუწყვეტელობის შემთხვევაში, მათი გადაწყვეტა მოხდება სასამართლოს მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.დასკვნითი დებულებები

10.1.ეს ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე. 2015 წლის 31 დეკემბერი ჩათვლით

10.2.ეს ხელშეკრულება შედგენილი და ხელმოწერილია ორ თანასწორუფლებიან ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ორივე ეგზემპლარი იდენტურია, გააჩნია ერთნაირი იურიდიული ძალა და წარმოადგენს ერთი და იგივე დოკუმენტს. ხელშეკრულების თითო-თითო ეგზემპლარი რჩება გარიგებაში მონაწილე თითოეულ მხარეს.

7. მხარეთა საბანკო რეკვიზიტები

დამკვეთი	შემსრულებელი
ცაგერის მუნიციპ. სოფლის მეურ. და სოფლის განვითარების სააგენტო დაწესებ. საქმიანობა ს.კ. 242574512 ა.ა.: GE 88LB0115163501353000 ბ.კოდი LBRTGE-22 ციბერიანბანკ	შპს„მიკრობიოლოგი" ს.კ 212847277 საქართველოს ბანკი ა/ა GE93BG0000000116759200 ბანკის კოდიBAGAGE22

მხარეთა ხელმოწერები:

დამკვეთი	შემსრულებელი
ცაგერის მუნიციპ. სოფლის მეურ. და სოფლის განვითარების სააგენტო დაწესებ. საქ. ოფისი	შპს„მიკრობიოლოგის "დირექტორი
	ქეთევან ებანოიძე

ბ.ა.

ბ.ა.